




5
36

“**შ ა მ ტ კ ი ც ე ბ**”

სოციალური სფეროს აუდიტის

დეპარტამენტის უფროსი


გიორგი ალასანია

„25“ 01 “ 2013 წელი

გვ. N2

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

აუდიტის ანგარიში *ლ 7/00*

2011 წლის 1 იანვარი - 2011 წლის 31 დეკემბერი

6
32

სარჩევი

აუდიტის ანგარიში

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	4
პირობითი მოსაზრება	4
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური ანგარიშგება	6

განმარტებითი შენიშვნები

1. სამინისტრო	13
2. წარდგენის საფუძვლები	14
3. წინა პერიოდის აუდიტის რეკომენდაციების გათვალისწინება	15
4. საკუთარი ბიუჯეტის დაგეგმვის, წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება	15
5. აუდიტის ობიექტის მიერ საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების განხორციელებისას მოქმედი კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობა	17
6. ფულადი ანგარიშები და დეპოზიტები	20
7. ფინანსური აქტივები	21
8. დებიტორული დავალიანებები	23
9. ძირითადი და არაწარმოებული აქტივები	23
10. მატერიალური მარაგები და ფასეულობები	25
11. ფინანსური ვალდებულებები	25
12. კრედიტორული დავალიანებები	26
13. გაუნაწილებელი მოგება	26
14. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	26
15. შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	27
16. სხვა შემოსავლები	28
17. შრომის ანაზღაურება	28
18. საქონელი და მომსახურება	29
19. გრანტები	30
20. სოციალური უზრუნველყოფა	31
21. სხვა ხარჯები	31
22. კურსთაშორისი სხვაობით მიღებული ზარალი	32
23. ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	32
24. ბიუჯეტში გადახდილი თანხები	32

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს სამინისტროს ნაერთ ბალანსს 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ნაერთ ანგარიშგებებს ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: არაფინანსური აქტივებით სავსე ოპერაციები; ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით სავსე ოპერაციები, წმინდა ღირებულება, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსური ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ

არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველები

სამინისტროს არ განუხორციელებია წინა პერიოდებში წარმოქმნილი და დაუფარავი 5,517 ათასი ლარის კრედიტორული და 902 ათასი ლარის ღირებულების უიმედო დებიტორული დავალიანების ჩამოწერა და შესაბამის საცნობარო მუხლებში ასახვა, რაც ეწინააღმდეგება ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მოთხოვნებს „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“. (იხილეთ მე-8 და მე-12 შენიშვნები)

სსიპ „შემოსავლების სამსახური“, როგორც აღწერილია ბუღალტრული ანგარიშგების მე-14 შენიშვნაში, დარიცხვის მექანიზმით არ აღიარებს ისეთი სახის შემოსავლებს, რომელთა ანაზღაურება ხდება მომსახურების გაწევის შემდეგ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ვერ შეძლო მიეღო საკმარისი აუდიტორული რწმუნება 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთი სახის შემოსავლების მოცულობის შესახებ, რომელიც ასევე ზეგავლენას ახდენს 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგების გადასახადზე.

პირობითი მოსაზრება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, სამინისტროს 2011 წლის 31 დეკემბრის ნაერთი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის

9
40

დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების
დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად¹.

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის ბრძანება #1321.

10
41

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური ანგარიშგება

ნაერთი ბალანსი

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარებში)

	შენიშვნა	დეკემბერი 31, 2011	დეკემბერი 31, 2010
აქტივები:			
ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები			
ნაღდი ფული სალაზროში ეროვნულ ვალუტაში		41.52	19.47
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში	6	49,312.19	3,615.18
დეპოზიტები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	6	10,000	
დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში		6.51	6.72
სხვა ანგარიშები ხაზინაში		106.48	106.48
სხვა ფინანსური აქტივები	7	53,679.03	16,151.76
მოთხოვნები მიწოდებებიდან და მომსახურებიდან	8	3,405.62	5,120.4
მოთხოვნები მივლინებით	8	13.83	101.28
მოთხოვნები დანაკლისებით	8	679.17	682.24
ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები	8	0.04	69.22
ანგარიშვალდებული პირის მიმართ მოთხოვნა ხაზინიდან	8	0.02	0.02
გადარიცხული თანხით			
გადახდილი დღგ	8	2.5	0.33
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	8	91.27	
სხვა საგადასახადო აქტივი	8	93.51	89.17
მისაღები პროცენტები	8	558.7	
სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები	8	9,574.38	33.37
სულ ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები		127,564.77	25,995.64
არაფინანსური აქტივები			
შენიშვნა-ნაგებობები	9	149,977.6	82,650.62
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	9	58,295.72	53,489.03
დაუმთავრებელი მშენებლობა	9	3,253.05	45,078.63
სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები	9	1,792.05	3,688.44
სხვა მატერიალური მარაგები	10	9,492.3	9,209.63
ფასეულობები	10	1.05	1.05
არაწარმოებული აქტივები	9	12,164.17	9,916.45
სულ არაფინანსური აქტივები		235,275.94	204,033.85
სულ აქტივები		362,840.71	230,029.5

ვალდებულებები და კაპიტალი

42

ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული
დავალიანებები

ფინანსური ვალდებულებები

11 22,684.48

ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან

12 360.34 842.61

გადასახდელი მოგების გადასახადი

12 6,193.05 646.53

გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი

12 612.94 612.94

გადასახდელი დღგ

12 2,704.64 161.04

ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები

12 2,759.87 1,605.36

გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის

12 3,215.93 3,501.71

ვალდებულებები მივლინებით

12 4.36 246.98

სოციალური დაზღვევის ანაზღაურებები

12 0.03

სასამართლოს ან/და ადმინისტრაციული ორგანოების

გადაწყვეტილებების შესაბამისად დაკავებული თანხები ან სხვა
დაკავებული თანხები

12 0.48 0.74

ვალდებულებები დეპონენტების მიმართ

12 4.73 4.73

ვალდებულებები წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლებით

12 60.58 35.39

გადასახდელი პროცენტები

12 - 6,463.01

გადასახდელი საწევროები და ერთჯერადი შენატანები

12 4.15 0.85

სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანებები

12 1.41 4.48

სულ ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული
დავალიანებები

38,606.99 14,126.37

კაპიტალი

წმინდა ღირებულება

282,069.22 211,575.52

გაუნაწილებელი მოგება

13 42,164.5 4,327.59

სულ კაპიტალი

324,233.72 215,903.11

სულ კაპიტალი და ვალდებულებები

362,840.71 230,029.5

12
43

ნაერთი ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით
2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარებში)

ხარჯების ჩამონათვალი	შენიშვნა	დამტკიცებული გაცმა	დაზუსტებული გაცმა	საკაპო ხარჯი	ფაქტობრივი ხარჯი
ხარჯები		89,888.9	105,833.62	103,506.38	120,205.28
პრომის ანაზღაურება	17	57,987.7	60,886.37	60,881.52	60,881.15
თანამდებობრივი სარგო				38,358.62	38,357.82
წოდებრივი სარგო				196.05	196.1
პრემია				20,959.9	20,959.9
დანამატი				994.96	995.28
კომპენსაცია				371.99	372.05
საქონელი და მომსახურება	18	27,799.8	40,385.55	39,914.56	42,912.46
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება				1,385.04	1,385.04
მიწვლინებები				1,262.06	1,314.87
ოფისის ხარჯები				11,521.14	13,226.03
წარმომადგენლობითი ხარჯები				252.69	214.64
კვების ხარჯები				1.17	1.17
სამედიცინო ხარჯები					1.5
რბილი ინვენტარის, უნიფორმის და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები				283.15	362.93
ტრანსპორტისა, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები				7,942.48	7,548.66
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება				17,266.83	18,857.62
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	9				13,731.5
გრანტები	19	80	190.25	179.51	179.51
გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს				64.08	64.08
გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს				115.43	115.43
სოციალური უზრუნველყოფა	20	734.1	802.81	744.19	744.71
დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება				744.19	744.71
სხვა ხარჯები	21	3,287.3	3,568.64	1,786.6	1,755.95
სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები				1,786.6	1,732.36
სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები					23.59

73
64

ნაერთი ანგარიში არაფინანსური აქტივებით სავსე ოპერაციების შესახებ
2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარებში)

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	შენიშვნა	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი
არაფინანსური აქტივები	9	28,205.28	26,423.2	24,535.79
ძირითადი აქტივები				24,535.4
საცხოვრებელი შენობები				37.42
არასაცხოვრებელი შენობები				16,923.29
გზები (სხვა მსოფლიო-ნაგებობები)				648.18
სატრანსპორტო საშუალებები				1,403.94
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი				4,908.43
კულტივირებული აქტივები				1.18
ლიცენზიები				6.84
სხვა არამატერიალური ძირითადი				606.12
არაწარმოებული აქტივები	9			0.39
მიწა				0.39

ნაერთი ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით სავსე ოპერაციების
შესახებ
2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარებში)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	შენიშვნა	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი
ფინანსური აქტივები	7	-	1,030	1,030
საშინაო				1,030
სესხები				1,000
აქციები და სხვა კაპიტალი				30
ვალდებულებები	11	151	200.46	186.76
საშინაო				186.76
სხვა კრედიტორული დავალიანებები				186.76

14
45

ნაერთი ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ
2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარებში)

		შენიშვნა	
საწყისი ნაშთი			211,575.52
ზრდა			
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება			129,258.94
შემოსავლები			1,096.28
სხვა შემოსავლები	16		1,096.28
აქტივების უსასყიდლოდ მალემა			163,057.11
მ.შ. ძირითადი აქტივები	9		96,023.77
მატერიალური მარაგები	10		4,508.87
არაწარმოებული აქტივები	9		10,562.64
სხვა ფინანსური აქტივები	7		51,961.83
სხვა ეკონომიკური ნაკადები	9		65,062.93
მ.შ. აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები			65,062.93
კლება			
სულ ხარჯები			120,205.28
მ.შ. შრომის ანაზღაურება	17		60,881.15
საქონელი და მომსახურება	18		42,912.46
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	9		13,731.5
გრანტები	19		179.51
სოციალური დახმარება	20		744.71
სხვა ხარჯები	21		1,755.95
აქტივების უსასყიდლოდ გაცემა			105,128.72
მ.შ. ძირითადი აქტივები	9		92,717.89
მატერიალური მარაგები	10		4,347.52
არაწარმოებული აქტივები	9		8,063.31
სხვა ეკონომიკური ნაკადები	9		62,130.1
მ.შ. ზარალი ფლობიდან			26.13
აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები			62,103.97
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	23		517.46
საბოლოო ნაშთი			282,069.22

ნაერთი ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ
2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარებში)

შენიშვნა	გეგმა	საკასო	ფაქტობრივი
----------	-------	--------	------------

15
46

ნაშთი წლის დასაწყისისათვის		3,492.71	3,626.72	4,327.59
საანგარიშო პერიოდის სხვა შემოსავლები		108,398.94	127,233.72	85,919.25
მათ შორის სახეების მიხედვით				
ა) შემოსავლები საკუთრებიდან				
ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	14		104,064.67	85,270.98
გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები				
დ) ნებაყოფილებითი ტრანსფერები, გრანტების გარდა				
ე) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	15		23,169.05	648.27
1. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით		32,533.24	51,327.13	39,480.52
1.1. შრომის ანაზღაურება	17		3,651.57	3,617.93
1.2. საქონელი და მომსახურება	18		37,165.17	33,752.06
1.3. ძირითადი კაპიტალის მოხმარება	9			787.26
1.4. პროცენტი	11		1,080.28	1,080.28
1.5. სუბსიდიები				
1.6. ფრანტები				
1.7. სოციალური უზრუნველყოფა	20		18.75	18.75
1.8. სხვა ხარჯები	21		9,411.36	224.24
2. არაფინანსური აქტივები		24,861.01	15,482.72	
2.1 ძირითადი აქტივები	9		15,477.33	
2.2 მატერიალური მარაგები	10		5.39	
2.3 ფასეულობები				
2.4 არაწარმოებული აქტივები				
3. ფინანსური აქტივები				
3.1 საშინაო				
3.2 საგარეო				
3.3 მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური				
4. ვალდებულებები				
4.1 საშინაო				
4.2 საგარეო				
ბიუჯეტში გადახდილი თანხები	24		4,615.37	7,605.31
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	22		116.82	604.77
			59,318.4	42,556.24
ნაშთი წლის ბილანსი				

46
42

ნაერთი ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ
2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარებში)

არაფინანსური აქტივების დასახელება	შენიშნა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და ინვენტარი	სხვა დანაშაფნი ძირითადი აქტივები	დაუმთავრებელი შესრულება	არაფინანსური აქტივები	სხვა მატერიალური მნიშვნელობა	ფასიკულობები	სულ
<i>საწყისი მდგომარეობა 1/01/2011</i>	<i>82,651</i>	<i>53,489</i>	<i>3,688</i>	<i>45,079</i>	<i>2,216</i>	<i>2,210</i>	<i>1</i>	<i>204,034</i>
მიღება								
შესყიდვა	8,213	13,035	780	15,830	3	36,776		74,637
უსასყიდლოდ გადმოცემა	75,085	22,460	479	-	10,563	4,508		111,095
სხვა ეკ. ნაკადები	58,937	2,962	-	-	45	257		62,201
საკუთარი სახსრები	-	5	5	-	-	7		17
დანაკლისის აღდგენა		2	-	-	-	1		3
გასვლა								
გაყიდვა	-	2	-	-	-			2
უსასყიდლოდ გადაცემა	68,262	20,798	480	3,570	8,063	4,348		105,521
სხვა ეკ. ნაკადები	1,958	1,321	2,386	54,086	-	289		60,040
ცუკთა	2,688	11,537	294	-	-			14,519
საქონელი და მომსახურება						36,630		36,630
<i>საბოლოო მდგომარეობა 1/01/2012</i>	<i>149,978</i>	<i>58,295</i>	<i>1,792</i>	<i>3,253</i>	<i>12,161</i>	<i>9,492</i>	<i>1</i>	<i>235,275</i>

ნაერთი ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედუგად ფინანსური აქტივებისა და
ვალდებულებების ცვლილებების შესახებ
2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარებში)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დასახელება	შენიშნა	აქტივების სხვა მოცულობითაი ცვლილებების ზრდა	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებების კლება
ფინანსური აქტივები			
სხვა დებიტორული დავალიანებები	8	519	
ფინანსური ვალდებულებები			
სხვა კრედიტორული დავალიანებები	12	1,544	2,862

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარებში)

1. სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო მმართველობას საფინანსო-საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო სფეროში; უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე საბიუჯეტო და საგადასახადო კანონმდებლობის დაცვისა და შესრულების კონტროლს; ახორციელებს ეკონომიკური დანაშაულის სფეროში პრევენციულ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, მოკვლევასა და წინასწარ გამოძიებას.

სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებებით, საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო კოდექსებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

სამინისტროს იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვასტანგ გორგასლის ქუჩა №16.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგება, 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოიცავს შემდეგი ორგანიზაციული კოდების ანგარიშგებებს:

- სამინისტროს ცენტრალური აპარატი (კოდი 23 01 01)
- სსიპ "შემოსავლების სამსახური" (კოდი 23 01 02)
- საგამოძიებო სამსახური (კოდი 23 01 03)
- სახაზინო სამსახური (კოდი 23 01 04)
- სსიპ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო" (კოდი 23 01 06)
- სუვერენული რეიტინგი და საგარეო ვალის მართვა და რეფინანსირება (კოდი 23 01 08)
- საკონტროლო-საღარიბ აპარატების შესყიდვა (კოდი 23 01 09)
- სსიპ "საფინანსო-ანალიტიკური სამსახური" (კოდი 23 01 10)
- სსიპ "ფინანსთა სამინისტროს აკადემია" (კოდი 23 01 11)
- ორმხრივი, რეგიონალური და რეგიონთაშორისი პროექტები (GTZ) (კოდი 23 02 01)
- ხაზინის კომპონენტი (WB-SIDA-ნიდერლანდი-DFID) (კოდი 23 02 02 01)
- საბიუჯეტო კომპონენტი (WB-SIDA-ნიდერლანდი-DFID) (კოდი 23 02 02 02)
- საოპერაციო ხარჯი (WB-SIDA-ნიდერლანდი-DFID) (კოდი 23 02 02 03)

48
49

- KfW-ს ადგილობრივი ოფისის საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსება (კოდი 23 02 04)
- საწარმოთა განვითარების პროექტი (კოდი 23 02 11 03)
- შპს „ქართული პროდუქტისთვის“ გაცემული სესხი
- ყოფილი გენერალური ინსპექცია

მოცემული ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგება ხელმოწერილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილისა და სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს მთავარი ბუღალტრის მიერ.

2. წარდგენის საფუძვლები

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

სამინისტრო ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ და სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით.

სამინისტროს თანდართული ბუღალტრული ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის შესაბამისად.

საანგარიშგებო ვალუტა

წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაფასება ხდება ბალანსის შედგენის თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით გამოსახული ნაკადების ღირებულება კონვერტირდება ეროვნული ვალუტით იმ თარიღისათვის მოქმედი ოფიციალური კურსით, როდესაც ამ ნაკადებს ჰქონდათ ადგილი. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გაცვლით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება სხვა ეკონომიკურ ნაკადებში (მოგება/ზარალი ფლობიდან).

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც სამინისტრომ გამოიყენა ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისას:

	დეკემბერი 31, 2011	დეკემბერი 31, 2010
ლარი/1 აშშ დოლარი	1.6703	1.7728

3. წინა პერიოდის აუდიტის რეკომენდაციების გათვალისწინება

2011 წელს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ ბუღალტრულად აისახა მომწოდებელი სუბიექტების მიერ სახელშეკრულებო პირობების დარღვევისათვის დარიცხული პირგასამტეხლოები (იხ. შენიშვნა №5 და №16).

სსიპ „შემოსავლების სამსახურს“ გადაეცა კუთვნილი ქუთაისის რეგიონალური ცენტრის შენობა, რომელიც 2010 წელს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსზე ირიცხებოდა.

სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიწის ნაკვეთებს, რომელიც 2010 წელს ღირებულების გარეშე იყო აღრიცხული, მიენიჭა ღირებულება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნის საფუძველზე.

სამინისტროს ბალანსზე კვლავ ირიცხება უსარგებლო მატერიალური მარაგები (იხ. შენიშვნა №10), ასევე ძველი დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები (იხ. შენიშვნა №8 და შენიშვნა №12), რომელიც 2011 წელს, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ბალანსიდან მოიხსნა სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ.

4. საკუთარი ბიუჯეტის დაგეგმვის, წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება

2011-2014 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2011 წლის კადრებისა და ასიგნებების ზღვრული მოცულობა განისაზღვრა შესაბამისად 4,475 ერთეულითა და 113,044 ათასი ლარით.

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში წლის განმავლობაში სამჯერ განხორციელდა ცვლილება (ფინანსთა სამინისტროს შეეხო ორი ცვლილება) და 2011 წლის 4 ნოემბრის №5331 კანონით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ასიგნება (ორგანიზაციული კოდი 23 01) განისაზღვრა 113,480 ათასი ლარის ოდენობით, სამტატო რიცხოვნობა 4,458 ერთეულით.

პირველი ცვლილებით, სსიპ „ფინანსთა სამინისტროს საფინანსო აკადემიიდან“ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ ასიგნებებში გადატანილ იქნა 561 ათასი ლარი (პრეზიდენტის 2011 წლის 25 იანვრის №41 ბრძანებულების თანახმად, რეორგანიზებული იქნა სსიპ „ფინანსთა სამინისტროს საფინანსო აკადემია: სსიპ „შემოსავლების სამსახურთან“ მიერთების გზით);

20
37

მეორე ცვლილებით, გარდა სამინისტროს მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილებისა, მთავრობის 2011 წლის 20 ივლისის №1468 განკარგულების შესაბამისად, სამინისტროს ცენტრალურ აპარატს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 435 ათასი ლარი სახელმწიფო ვალის მართვისა და ფინანსური ანალიზის კომპიუტერული სისტემის დანერგვის მიზნით.

ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმა - საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა:

(ათას ლარებში)				
ორგანიზ. კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ხვეობა
23 01	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	113,479.5	128,343.8	14,864.3
	ხარჯები	87,660.7	103,227.6	15,566.9
	შრომის ანაზღაურება	57,987.7	60,886.4	2,898.7
	საქონელი და მომსახურება	27,799.8	40,385.5	12,585.7
	გრანტები	80	190.3	110.3
	სოციალური უზრუნველყოფა	734.1	802.8	68.7
	სხვა ხარჯები	1,059.1	962.6	(96.5)
	არაფინანსური აქტივების ზრდა	25,818.8	24,036.7	(1,782.1)
	ფინანსური აქტივების ზრდა		1,030	1,030.0
	ვალდებულებების კლება		49.5	49.5

სამინისტროს ასიგნებებში, დაზუსტების მიზნით, წლის განმავლობაში 36 ჯერ განხორციელდა შიდა ცვლილება, 5,389 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

სამინისტროს ცენტრალური აპარატის „შრომის ანაზღაურების“ მუხლს დაემატა 1,052 ათასი ლარი „არაფინანსური აქტივების ზრდისა“ და „საქონელი და მომსახურების“ მუხლებიდან; საქონელი და მომსახურების მუხლს მოაკლდა 1,590 ათასი ლარი, შესაბამისად გაიზარდა ცენტრალური აპარატის „არაფინანსური აქტივების ზრდისა“ და „შრომის ანაზღაურების“ მუხლები, ასევე სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ „შრომის ანაზღაურების“ მუხლი;

სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის“ „შრომის ანაზღაურების“ მუხლს დაემატა 1,096 ათასი ლარი; „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლს კი მოაკლდა 2,030 ათასი ლარი და გადავიდა „შრომის ანაზღაურებისა“ და „საქონელი და მომსახურების“ მუხლებში, ასევე გაიზარდა სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ „შრომის ანაზღაურების“ მუხლი.

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 18 შემთხვევაში გამოყოფილი იქნა 15,427 ათასი ლარი (აქედან, 8,367.9 ათასი ლარი წარმოადგენს საიდუმლოს), 435 ათასი ლარი აისახა დამტკიცებულ ბიუჯეტში, ხოლო 128 ათასი ლარი დაბრუნებული იქნა ფონდში (28 ათასი ლარი - 2010 წლის ოქტომბერში აშშ-ს მიერ ორგანიზებულ პრევენტაციებში მონაწილეობის ხარჯები; 100 ათასი ლარი - ფინანსთა სამინისტროს სრულფასოვანი პიარ სტრატეგიის შექმნისათვის საჭირო ხარჯები). დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 128,344 ათასი ლარი.

27
52

სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებები (ბიუჯეტის დაზუსტება):
(ათას ლარებში)

№	გამოყოფილი ასიგნებების მიზანი	განკარგულების ნომერი და თარიღი	ასიგნება, თანხა	საკასო ხარჯი	მიმღები
1	მოსაზრების რესპუბლიკაში წყალდიდობისას მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელად მოსახლეობის დახმარება	პრემიერ- მინისტრის 16.03 №75 ბრძანება	64.1	64.1	ცენტრალური აპარატი
2	ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვასთან და ახალი ქაღალდების ემისიასთან დაკავშირებული ბანკებისა და იურიდიული პირებისათვის გაწეული ხარჯები	მთავრობის 12.04 №798 განკარგულება	1,790.1	1,790.1	ქვეყნის სუვერენულ რეიტინგთან დაკავშირებული ხარჯები
3	ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვასთან და ახალი ქაღალდების ემისიასთან დაკავშირებული ბანკებისა და იურიდიული პირებისათვის გაწეული ხარჯები	მთავრობის 28.04 №918 განკარგულება	1,035.1	1,035.2	ქვეყნის სუვერენულ რეიტინგთან დაკავშირებული ხარჯები
4	ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვასთან და ახალი ქაღალდების ემისიასთან დაკავშირებული ბანკებისა და იურიდიული პირებისათვის გაწეული ხარჯები	მთავრობის 24.05. №1135 განკარგულება	1,434	1,434	ქვეყნის სუვერენულ რეიტინგთან დაკავშირებული ხარჯები
5	შპს „საქართველოს ფოსტა“ სესხი	მთავრობის №1619 10.08 განკარგულება	1,000	1,000	ცენტრალური აპარატი
6	შპს „მტკვარი-ენერგეტიკის“ სასესხო ვალდებულების აუდიტი	მთავრობის №1309 21.06. განკარგულება	113	112.9	ცენტრალური აპარატი
7	შპს „მტკვარი-ენერგეტიკის“ სასესხო ვალდებულების აუდიტი	მთავრობის №1309 21.06. განკარგულება	106.1	106.1	ცენტრალური აპარატი
8	ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული ევროზონიგაციის ტრანზაქციასთან დაკავშირებით სარეიტინგო სააგენტოს სარეიტინგო მომსახურება	მთავრობის №1308 08.10. განკარგულება	384.8	384.8	ქვეყნის სუვერენულ რეიტინგთან დაკავშირებული ხარჯები
9	ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული ევროზონიგაციის ტრანზაქციასთან დაკავშირებით სარეიტინგო სააგენტოს სარეიტინგო მომსახურება	მთავრობის №2469 14.12. განკარგულება	569.3	569.3	ქვეყნის სუვერენულ რეიტინგთან დაკავშირებული ხარჯები
ჯამი			6,496.5	6,496.5	

5. აუდიტის ობიექტის მიერ საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების
განხორციელებისას მოქმედი კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობა

სამინისტროს ცენტრალური აპარატი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოში“ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმები წარდგენილია კანონით
დადგენილ ვადებში.

2010 წლის 30 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარდგენილი იქნა 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული შესყიდვების გეგმა 31,752 ათასი ლარის ოდენობით, რომელშიც წლის განმავლობაში განხორციელებული კორექტირებების შედეგად შეადგინა 27,762 ათასი ლარი (სახელმწიფო შესყიდვების გეგმა წლის განმავლობაში 84-ჯერ იქნა კორექტირებული).

სამინისტრომ 2011 წელს განხორციელა შემდეგი სახისა და მოცულობის შესყიდვები:

2011 წელს განხორციელებული შესყიდვები:

(ათას ლარებში)

შესყიდვის სახე	გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა	გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება (ლარი)	გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება (აშშ დოლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ლარი)
1 გამარტივებული შესყიდვა	220	9,249		9,190
2 გამარტივებული შესყიდვა	1	-	71	
3 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	79	1,218		868
4 ელექტრონული ტენდერი	110	13,752	-	8,156
5 კონკურსი	5	102	-	102
ჯამი		24,321	71	18,316

ელექტრონული ტენდერისა და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 1,339 ათასი ლარი (შესყიდვების სატენდერო ღირებულება 9,020 ათასი ლარი, ხელშეკრულების ღირებულება 7,681 ათასი ლარი), საიდანაც 315 ათასი ლარი მიმართულია საქართველოს ფინანთა სამინისტროსა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას (IFC) შორის თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული შეთანხმების პროექტში თანამონაწილეობისათვის (პროექტი #574907), ხოლო 1,007 ათასი ლარი მიმართულია სსიპ "შემოსავლების სამსახურის" „შრომის ანაზღაურების" მუხლის დასაფინანსებლად.

სამინისტროს მხრიდან 2010-2011 წლებში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებისას, სახელშეკრულებო პირობების დარღვევისთვის მიმწოდებლებზე დარიცხულია პირგასამტეხლო 339 ათასი ლარის ოდენობით, აქედან 2011 წელს გადახდილია 82 ათასი ლარი (იხ. შენიშვნა №16).

დიდი ოდენობით პირგასამტეხლო დაერიცხათ:

- შპს „ანაგი“ - 55 ათასი ლარი (სამშენებლო სამუშაოები);
- შპს „იქმშენი-2005“ - 38 ათასი ლარი (სამშენებლო სამუშაოები);
- შპს „იუ-ჯი-თი“ - 12 ათასი ლარი (კომპიუტერული ტექნიკის მიწოდება);
- შპს „ზიმო“ - 23 ათასი ლარი (სამშენებლო სამუშაოები).

23
54

შემოსავლების სამსახური

სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ, სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში“, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმები წარდგენილია კანონით დადგენილ ვადებში.

2010 წლის 28 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარდგენილი იქნა 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული შესყიდვების გეგმა 10,237 ათასი ლარის ოდენობით, რომელმაც წლის განმავლობაში განხორციელებული კორექტირებების შედეგად შეადგინა 10,489 ათასი ლარი (სახელმწიფო შესყიდვების გეგმა წლის განმავლობაში 21-ჯერ იქნა კორექტირებული).

2011 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებებით განხორციელებული შესყიდვები:
(ათას ლარებში)

№	შესყიდვის სახე	გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა	გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება (ლარი)	გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება (აშშ. დოლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ლარი)
1	გამარტივებული შესყიდვა	211	2,719	-	2,437
2	გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	136	2,021	-	1,646
3	ელექტრონული ტენდერი	22	5,529	-	5,393
	ჯამი		10,269	-	9,476

ელექტრონული ტენდერისა და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 1,326 ათასი ლარი (შესყიდვების სატენდერო ღირებულება 5,441 ათასი ლარი, ხელშეკრულების ღირებულება 4,115 ათასი ლარი), რომლითაც კვლავ ერთგვაროვანი (საქონელი/მომსახურება) შესყიდვები განხორციელდა.

2011 წლის 13 იანვარს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარდგენილი იქნა შემოსავლების სამსახურის მომსახურების საფასურიდან მიღებული შემოსავლების მისუდვით შედგენილი 2011 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა 15,471 ათასი ლარის ოდენობით, რომელმაც წლის განმავლობაში განხორციელებული კორექტირებების შედეგად შეადგინა 61,405 ათასი ლარი (სახელმწიფო შესყიდვების გეგმა წლის განმავლობაში 18-ჯერ იქნა კორექტირებული).

2011 წელს მომსახურების საფასურიდან მიღებული შემოსავლებით განხორციელებული შესყიდვები:
(ათასლარებში)

შესყიდვის სახე	გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა	გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება (ლარი)	გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება (აშშ. დოლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ვალუტაში)
----------------	---------------------------------------	---	--	---------------------------------

29
55

1	გამარტივებული შესყიდვა	493	18,122		12,833
2	გამარტივებული შესყიდვა	1	-	13,300	13,300
3	გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	170	3,422	-	3,324
4	ელექტრონული ტენდერი	109	16,037	-	11,430
5	კონკურსი	3	168	-	168
ჯამი			37,749	13,300	

შემოსავლების სამსახურის მხრიდან 2010-2011 წლებში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებისას, სახელმწიფოებში პირობების დარღვევისთვის მიმწოდებლებზე დარიცხულია პირგასამტეხლო 481 ათასი ლარი და 80 ათასი აშშ დოლარი, აქედან 2011 წელს გადახდილია 72 ათასი ლარი და 80 ათასი აშშ დოლარი.

დიდი ოდენობით პირგასამტეხლო დაერიცხათ:

- შპს „ახალშენი“ – 387 ათასი ლარი (საშენებლო სამუშაოები);
- შპს „დეიზი ტექნოლოჯი“ – 80 ათასი აშშ დოლარი (საღარიბე აპარატების მიწოდება);
- შპს „MSM GROUP“ – 21 ათასი ლარი (მოწყობილობების „მექანიკური კარებების“ მიწოდება);
- კახაბერ ჩორაკიძე – 15 ათასი ლარი (ტვირთმზიდველების მიწოდება);
- შპს „ნეოტექი“ – 8 ათასი ლარი (მაჩანა-დანადგარების „კონტროლერების“ მიწოდება).

6. ფულადი ანგარიშები და დეპოზიტები

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკში არსებული ფინანსთა სამინისტროს მიმდინარე ანგარიშების ნაშთი შეადგენდა 49,312 ათას ლარს, ხოლო ვადიანი ანაბრების ნაშთი 10,000 ათას ლარს.

სამინისტროს მიმდინარე და სადეპოზიტო ანგარიშები 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

(ათას ლარებში)

	ნაშთი წლის ბოლოს	წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო სარგებელი
სსიპ „შემოსავლების სამსახური“ მიმდინარე ანგარიში:	58,394	2,378
სს „კორ-სტანდარტ ბანკი“	48,393	1,776
სს „ბანკი რესპუბლიკა“	1	
ვადიანი ანაბარი:		
სს „კორ-სტანდარტ ბანკი“	10,000	602
სსიპ „მოსახლეობის სააგენტო“ მიმდინარე ანგარიში:	769	124

25
56

სს „ბაზისბანკი“	230	50
სს „ლიბერთი ბანკი“	539	74
სს „თიბისი“ ბანკი	-	-
სსიპ „საფინანსო აკადემია“	149	8
მიმდინარე ანგარიშში:		
სს „ლიბერთი ბანკი“	149	8
სს „საქართველოს ბანკი“	-	-
ჯამი	59,312	2,510

სსიპ „შემოსავლების სამსახური“ სს „კორ-სტანდარტ ბანკის“ მეშვეობით ახორციელებს გაწეული მომსახურების საფასურის მიღებას და საკასო ხარჯების გაწევას საკუთარი შემოსავლებიდან. წლის ბოლოსთვის მიმდინარე ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 48,393 ათასი ლარი.

2011 წლის 23 ივნისს სსიპ „შემოსავლების სამსახურმა“ სს „კორ სტანდარტ ბანკის“ ვადიან ანაბარზე განათავსა 10,000 ათასი ლარი (ხელშეკრულების მოქმედების ვადა 6 თვე), რომელსაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი წლიური 12%-ის ოდენობით.

საღარო აპარატების შეძენის მიზნით, 2011 წლის 9 მარტს სსიპ „შემოსავლების სამსახურსა“ და სს „ბანკ რესპუბლიკას“ შორის გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება 13,300 ათას აშშ დოლარზე (იხ. შენიშვნა №11). 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სსიპ „შემოსავლების სამსახურს“ სადოლარო ანგარიშზე ნაშთი არ ერიცხება, საღარო ანგარიშზე კი ნაშთი შეადგენს 1 ათას ლარს.

2011 წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო სარგებელიდან, 2,378 ათასი ლარი (სსიპ „შემოსავლების სამსახური“) ადრიცხულია, როგორც „საქონელისა და მომსახურების რეალიზაცია“, ხოლო 132 ათასი ლარი (სსიპ „მომსახურების სააგენტო“ და სსიპ „საფინანსო აკადემია“), როგორც „შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები“.

7. ფინანსური აქტივები

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს სხვა ფინანსური აქტივების ნაშთმა შეადგინა 53,679 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივები:
(ათას ლარებში)

	2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
სამინისტროს ცენტრალური აპარატი	1,142	112
სსიპ „მომსახურების სააგენტო“	43,160	200
ქართული პროექტი	9,377	15,840
ჯამი	53,679	16,152

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 10 აგვისტოს №1619 განკარგულებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 1,000 ათასი ლარი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ სესხის გასაცემად. სესხი გაიცა შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა (ტრაილერები, მსუბუქი ავტომობილები, მოტოციკლები) და სპეციალური ტექნიკის შესაძენად (2011 წლის 16 აგვისტოს ხელშეკრულება №40), სესხით სარგებლობის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვე, წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა 2%-ის ოდენობით (გადახდა ხორციელდება 6 თვეში ერთხელ), ძირითადი თანხა კი დაიფარება სესხით სარგებლობის ვადის ბოლოს.

2005 წლის 12 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“ (MCG) სახით საქართველოში ეკონომიკური განვითარების გზით სიღარიბის დაძლევის პროგრამის განხორციელების მიზნით ხელი მოაწერეს ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტს. საქართველოში ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ამ დარგში არსებული პრობლემების მოგვარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 3 დეკემბრის №561 ბრძანებულებით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ („ემ-სი-ჯი“), რომელიც კომპაქტით დადგენილი მიზნებისა და ფუნქციების განსახორციელებლად უფლებამოსილი იყო დაეფუძნებინა კერძო სამართლის იურიდიული პირები.

2011 წლის 6 აპრილს სსიპ „ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოსა“ და სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება შპს „საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის“ 100%-იანი წილის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ. შპს „საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი“ ჩამოყალიბებულია დელავერის შტატის კანონმდებლობის შესაბამისად და ახორციელებს საინვესტიციო საქმიანობას. ფონდის დაფინანსება განისაზღვრა 30,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. წილის ღირებულება წილის გადაცემის თარიღისთვის შეადგენდა 25,429 ათას აშშ დოლარს (42,960 ათას ლარს), რომელიც წარმოადგენს კომპაქტით განსაზღვრული თანხის გაცემის პროცედურების შესაბამისად განხორციელებული საწესდებო კაპიტალის შენატანების ჯამს, გარდა საბოლოო გადახდისა, რომელიც 4,571 ათას აშშ დოლარს შეადგენს.

საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 2 მაისის №236 განკარგულების თანახმად, კვების მრეწველობის განვითარების ხელშეწყობისა და ქართული ღვინის ექსპორტთან დაკავშირებული ვითარების დარეგულირების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2006 წლის 3 მაისს შპს „ქართულ პროდუქტთან“ გააფორმა სასესხო ხელშეკრულება 5,500 ათასი ევროს ექვივალენტ თანხაზე ლარში. შპს „ქართული პროდუქტის“ დავალიანება ფინანსთა სამინისტროს მიმართ, 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შეადგენდა 15,840 ათას ლარს (ძირითადი თანხა, პროცენტი

და პირგასამტეხლო), რომელიც აღრიცხული იყო საბალანსო ანგარიშზე „სხვა ფინანსური აქტივები“. სახაზინო სამსახურის 2012 წლის 18 იანვრის №4843-18 წერილით, ფინანსთა სამინისტროს ეცნობა შპს „ქართული პროდუქტის“ სასესხო დავალიანება 2012 წლის 1 იანვრისათვის, რომელმაც შეადგინა 18,378 ათასი ლარი: ძირითადი თანხა - 9,376 ათასი ლარი („სხვა ფინანსური აქტივები“), პროცენტი - 559 ათასი ლარი („მისაღები პროცენტები“) და პირგასამტეხლო - 8,443 ათასი ლარი („სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები“). 2011 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობდა სამართალწარმოება შპს „ქართული პროდუქტის“ წინააღმდეგ.

8. დებიტორული დავალიანებები

დებიტორული დავალიანებები წარმოშობის წლების მიხედვით:

(ათას ლარებში)

კლასიფიკაციის მუხლი	წარმოშობის წლები					სულ
	1996-2000 წ.	2001-2005 წ.	2006-2009 წ.	2010 წ.	2011 წ.	
შრომის ანაზღაურება	-	-	-	-	-	-
საქონელი და მომსახურება	-	164	-	20	94	278
სხვა ხარჯები	-	-	-	34	1,286	1,320
არაფინანსური აქტივების შეძენა	4	-	40	-	3,097	3,141
ჯამი	4	164	40	54	4,477	4,739

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს ბალანსზე ირიცხება 941 ათასი ლარის 2011 წლამდე წარმოშობილი დებიტორული დავალიანება, საიდანაც 902 ათასი ლარი უიმედო დავალიანებაა (მ.შ. 679 ათასი ლარის მოთხოვნები დანაკლისებით).

2011 წელს სსიპ „შემოსავლების სამსახურმა“, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საცნობარო მუხლში ჩამოწერა 519 ათასი ლარის ღირებულების უიმედო დებიტორული დავალიანება.

9. ძირითადი და არაწარმოებული აქტივები

ძირითადი აქტივები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებით ძირითადი კაპიტალის მოხმარების, შემთხვევითი დანაკარგებისა და ყველა ცვლილების გათვალისწინებით. ძირითადი აქტივების ცვეთა გამოიქვეთება აქტივების საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი მომსახურების ვადის ამოწურვამდე.

ცვეთის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მიხედვით. ცვეთის წლიური ხარჯი შეადგენს 14,519 ათას ლარს (მ.შ. საკუთარი შემოსავლებით შეძენილი აქტივების ცვეთა 787 ათასი, ხოლო საბიუჯეტო სახსრებით 13,732 ათასი ლარი).

28 57

2011 წლის განმავლობაში, სამინისტრომ საკუთარი შემოსავლებით შეიძინა 15,477 ათასი ლარის, ხოლო საბიუჯეტო სახსრებით 24,536 ათასი ლარის ღირებულების ძირითადი აქტივი.

ძირითადი აქტივების შეძენა 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:
(ათას ლარებში)

	საბიუჯეტო სახსრებით	საკუთარი შემოსავლებით
სსიპ „შემოსავლების სამსახური“	492	15,051
სსიპ „მომსახურების სააგენტო“	-	415
სსიპ „საფინანსო აკადემია“	83	11
ჯამი	575	15,477

ცენტრალური აპარატის მიერ უსასყიდლოდ გადაცემულია 89,470 ათასი ლარის ღირებულების ძირითადი და არაწარმოებული აქტივი (მ.შ. დაქვემდებარებულ უწყებებზე 89,223 ათასი ლარის).

სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ 2011 წლის განმავლობაში უსასყიდლოდ გადაცემული ძირითადი და არაწარმოებული აქტივები:
(ათას ლარებში)

მიმღები ორგანიზაცია	
სსიპ „შემოსავლების სამსახური“	79,155
საგამომცემო სამსახური	4,942
სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახური“	4,860
საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა	132
სსიპ „მომსახურების სააგენტო“	130
სახანძრო სამსახური	94
ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	48
სსიპ „ფინანსთა სამინისტროს აკადემია“	42
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	33
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	31
სხვა	2
სახელმწიფო უნივერსიტეტი	1
ჯამი	89,470

2011 წელს სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ საბალანსო ანგარიშიდან „დაუშთავრებელი მშენებლობა“ სსიპ „შემოსავლების სამსახურისთვის“ გადაცემულია 53,786 ათასი ლარის, ხოლო საგამომცემო სამსახურისთვის 300 ათასი ლარის შენობა-ნაგებობა.

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების საბაზრო ღირებულების შეფასების შედეგად, მათი ღირებულება გაიზარდა 2,896 ათასი ლარით.

29
60

10. მატერიალური მარაგები და ფასეულობები

2011 წლის განმავლობაში, ცენტრალური აპარატის მიერ უსასყიდლოდ გადაცემულია 4,258 ათასი ლარის ღირებულების მატერიალური მარაგი.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ 2011 წლის განმავლობაში უსასყიდლოდ გადაცემული მატერიალური მარაგები:
(ათას ლარებში)

მიმღები ორგანიზაცია	თანხა
საგამომცემო სამსახური	3,959
სსიპ "შემოსავლების სამსახური"	116
სახაზინო სამსახური	97
სსიპ "საფინანსო-ანალიტიკური სამსახური"	53
სსიპ "ფინანსთა სამინისტროს აკადემია"	31
ოუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიურო	2
ჯამი	4,258

2012 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, სამინისტროს ცენტრალურ აპარატს ერიცხება 34 ათასი ლარის, ხოლო სსიპ „შემოსავლების სამსახურს“ 725 ათასი ლარის გამოუყენებელი მარაგი. 2012 წელს დაწყებულია ჩამოწერის პროცესი (დაგეგმილია ექსპერტების ჩართვა და აუქციონი).

11. ფინანსური ვალდებულებები

სამინისტროს ფინანსური ვალდებულების ნაშთმა 2011 წლის ბოლოსთვის შეადგინა 22,684 ათასი ლარი, რომელიც წარმოადგენს სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ ვალდებულებას სს „ბანკი რესპუბლიკის“ მიმართ. 2011 წლის 9 მარტის ხელშეკრულებით, სალარო აპარატების შეძენის მიზნით, სსიპ „შემოსავლების სამსახურმა“ აიღო სესხი 13,300 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. სესხის ვადაა 36 თვე, ძირითადი თანხის გადახდაზე საშუალოდ პერიოდი მოიცავს 12 თვეს. საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა, როგორც LIBOR-ს დამატებული 8.5%. სესხის დაფარვის ბოლო ვადაა 2014 წლის 10 მარტი. სესხის ძირითადი თანხის დაფარვა დაიწყო 2012 წლის 10 აპრილიდან. 2011 წლის 11 აპრილიდან 2012 წლის 10 აპრილამდე გათვალისწინებულია მხოლოდ პროცენტის დაფარვა. 2011 წელს სსიპ „შემოსავლების სამსახურის მიერ“ პროცენტის სახით გადახდილი იყო 1,080 ათასი ლარი (643 ათასი აშშ დოლარი). სესხის პროცენტის დაფარვა ხდება საკუთარი შემოსავლებიდან, სს „კორ-სტანდარტ ბანკის“ მიმდინარე ანგარიშიდან სს „ბანკი რესპუბლიკის“ ანგარიშზე თანხის გადატანით.

2011 წლის განმავლობაში, ფინანსთა სამინისტრომ დაფარა წინა წლებში წარმოშობილი 187 ათასი ლარის დავალიანება.

ფინანსური ვალდებულების კლება:
(ათას ლარებში)

	საკასო ხარჯი
GTZ-ს ორმხრივი, რეგიონალური და რეგიონთაშორისი პროექტები	137
სამინისტროს ცენტრალური აპარატი	49

30
61

KFW-ს ადგილობრივი ოფისის საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსება
ჯამი

1
187

12. კრედიტორული დავალიანებები

კრედიტორული დავალიანებები წარმოშობის წლების მიხედვით:

(ათას ლარებში)

კლასიფიკაციის მუხლი	წარმოშობის წლები					სულ
	1996-2000 წ.	2001-2005 წ.	2006-2009 წ.	2010 წ.	2011 წ.	
შრომის ანაზღაურება	4,268	957	-	-	-	5,225
საქონელი და მომსახურება	-	77	174	-	91	342
სოციალური უზრუნველყოფა	-	-	-	-	-	-
სხვა ხარჯები	-	1	1	13	9,975	9,990
არაფინანსური აქტივების შეძენა	1	16	5	-	-	22
ვალდებულებები	-	-	-	4	339	343
ჯამი	4,269	1,051	180	17	10,405	15,922

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს ბალანსზე ირიცხება 2011 წლამდე წარმოშობილი და დაუფარავი 5,517 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება.

2011 წელს სსიპ „შემოსავლების სამსახურმა“, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საცნობარო მუხლში ჩამოწერა 517 ათასი ლარის ღირებულების ვადაგადაცილებული დავალიანება.

სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, სამინისტროს ცენტრალურ აპარატს ჩამოეჭრა 1,524 ათასი ლარის დავალიანება.

13. გაუნაწილებელი მოგება

გაუნაწილებელი მოგების მოძრაობა 2011 წლის 31 დეკემბრისთვის:

(ათას ლარებში)

საწყისი ნაშთი 1/01/2011	4,328
შემოსავლები	85,919
ხარჯები	(39,481)
აქტივების უსასყიდლოდ გადაცემა	(391)
ბიუჯეტში გადახდილი თანხები	(7,605)
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	(605)
საბოლოო ნაშთი 1/01/2012	42,165

14. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია

2011 წლის განმავლობაში „საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან“ მიღებულმა საკასო შემოსავალმა შეადგინა 104,064 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შემოსავალმა 85,270 ათასი ლარი (სხვაობა საკასო და ფაქტიურ შემოსავლებს შორის წარმოადგენს დღგ-ს თანხას). აქედან, სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ საკასო და ფაქტიური შემოსავლებია შესაბამისად 97,084 ათასი (საიდანაგ 2,378 ათასი ლარი

31
62

წარმოადგენს წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო სარგებელს, იხ.შენიშვნა №6) და 82,270 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

(ათას ლარებში)

	საკასო	ფაქტიური
სსიპ „შემოსავლების სამსახური“	97,084	82,270
სსიპ „მომსახურების სააგენტო“	6,857	2,881
სსიპ „საფინანსო აკადემია“	123	119
ჯამი	104,064	85,270

სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურები და მათი განაკვეთები დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის N96 დადგენილებით, რომლის მიხედვით დაინტერესებული პირი ვალდებულია პირადად ან მესამე პირის მეშვეობით გადაიხადოს დადგენილი საფასური სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ მომსახურების გაწევამდე, გარდა ამავე დადგენილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც მომსახურების საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს მომსახურების გაწევის შემდეგ.

სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ საკუთარი შემოსავლების აღრიცხვა ხორციელდება დარიცხვის მეთოდით, თუმცა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიდან მომსახურების გაწევის შესახებ ინფორმაცია საფინანსო სამმართველოს არ მიეწოდება.

15. შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები

2011 წლის განმავლობაში „შერეულმა და სხვა არაკლასიფიცირებულმა“ საკასო შემოსავალმა შეადგინა 23,169 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შემოსავალმა 648 ათასი ლარი. აქედან, სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ საკასო და ფაქტიური შემოსავლებია, შესაბამისად, 22,603 ათასი და 166 ათასი ლარი.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

(ათას ლარებში)

	საკასო	ფაქტიური
სსიპ „შემოსავლების სამსახური“	22,603	166
სსიპ „მომსახურების სააგენტო“	558	474
სსიპ „საფინანსო აკადემია“	8	8
ჯამი	23,169	648

სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ საკასო შემოსავალი მოიცავს სს „ბანკ რესპუბლიკის“ მიერ გაცემულ სასესხო თანხას 13,300 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (22,408 ათასი ლარი) და სს „კორ-სტანდარტ ბანკისგან“ იჯარის სანაცვლოდ მიღებულ სადაზღვევო პრემიას 195 ათასი ლარის ოდენობით (დღგ 29

ათასი ლარი, ფაქტიური შემოსავალი 166 ათასი ლარი) - მზღვეველი: შპს "აი სი ჯგუფი", დაზღვევის მოქმედების ვადა: 01/09/2010 - 01/09/2013.

16. სხვა შემოსავლები

2011 წლის განმავლობაში, სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო სხვადასხვა ორგანიზაციებზე დარიცხულმა ჯარიმა-საურავებმა შეადგინა 1,433 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:
(ათას ლარებში)

	დარიცხული ჯარიმა	გადახდილი ჯარიმა
სამინისტროს ცენტრალური აპარატი	892	133
სსიპ „შემოსავლების სამსახური“	541	204
ჯამი	1,433	337

სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ 2011 წლის განმავლობაში ბუღალტრულად აღრიცხული პირგასამტეხლოდან 140 ათასი ლარი ეკუთვნის 2009 წელს, 413 ათასი ლარი 2010 წელს, ხოლო 339 ათასი ლარი 2011 წელს (იხ. შენიშვნა №5).

სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ დარიცხულმა პირგასამტეხლომ შეადგინა 541 ათასი ლარი, საიდანაც, 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადაუხდელია 337 ათასი ლარის ჯარიმა და წარმოადგენს ბიუჯეტის წინაშე სხვა კალდეზულებას. აღურიცხავმა პირგასამტეხლომ შეადგინა 72 ათასი ლარი.

17. შრომის ანაზღაურება

2011 წლის განმავლობაში, შრომის ანაზღაურების მუხლით გაიწია 60,881 ათასი ლარის საკასო და ფაქტიური ხარჯი (საბიუჯეტო სახსრები), მ.შ. ცენტრალური აპარატი 6,204 ათასი (10%), ხოლო სსიპ „შემოსავლების სამსახური“ 38,348 ათასი ლარი (63%).

შრომის ანაზღაურების საკასო ხარჯები (ბიუჯეტი):
(ათას ლარებში)

	მეოთხე კვარტლის ხარჯი	წლიური ხარჯი	%
სამინისტროს ცენტრალური აპარატი	2,062	6,204	33%
სსიპ „შემოსავლების სამსახური“	11,840	38,348	31%
ჯამი	13,902	44,552	

სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ 2011 წლის განმავლობაში გაცემულმა პრემიამ შეადგინა 2,380 ათასი ლარი, მეოთხე კვარტლში გაიცა 1,120 ათასი ლარის პრემია (წლიური ხარჯის 47%). დაქვემდებარებულ უწყებებზე გაცემულმა პრემიამ კი შეადგინა 24 ათასი ლარი.

33
69

სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ წლის განმავლობაში გაიცა 12,960 ათასი ლარის პრემია (ბიუჯეტი), მეოთხე კვარტლის ხარჯმა შეადგინა 5,212 ათასი ლარი (წლიური ხარჯის 40%). დეკემბერში სამსახურმა საკუთარი შემოსავლებიდან გასცა 2,203 ათასი ლარის პრემია.

18. საქონელი და მომსახურება

საქონელი და მომსახურების საკასო ხარჯები (ბიუჯეტი):
(ათას ლარებში)

ხარჯების ჩამონათვალი	სამინისტროს ცენტრალური აპარატი	სსიპ „შემოსავლების სამსახური“	სუვერენული რეიტინგი და საგარეო ვალის მართვა და რეფინანსირება
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	51	907	
ნივლინებები	267	710	
ოფისის ხარჯები	2,512	7,858	
წარმომადგენლობითი ხარჯები	237	13	
კვების ხარჯები	1	-	
რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის ხარჯები	275	3	
ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის	4,464	3,396	
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	10,260	519	5,494
ჯამი	18,067	13,406	5,494

სუვერენული რეიტინგი და საგარეო ვალის მართვა და რეფინანსირება - 23 01 08 კოდით, 2011 წლის განმავლობაში, გახარჯულია 5,494 ათასი ლარი, რაც წარმოადგენს საქართველოს სახელით გამოშვებულ უცხოურ კონვერტირებად ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიასთან დაკავშირებულ საერთაშორისო და ადგილობრივი იურიდიული მრჩევლების მომსახურების, ლისტიנגისა და გასვლითი პრეზენტაციების ხარჯებს. მათ შორის, 3,929 ათასი ლარი გადარიცხულია უცხოურ, ხოლო 40 ათასი ლარი ქართულ ორგანიზაციაზე, 1,525 ათასი ლარი კი გადასახადების სახით მიმართულია სახელმწიფო ბიუჯეტში (არარეზიდენტი პირის დამატებული ღირებულებისა და საშემოსავლო გადასახადები).

საქონელი და მომსახურების საკასო ხარჯები (ბიუჯეტი):
(ათას ლარებში)

	მეოთხე კვარტლის ხარჯი	წლიური ხარჯი	%
სამინისტროს ცენტრალური აპარატი	5,562	18,067	31%
სსიპ „შემოსავლების სამსახური“	4,879	13,406	36%
ჯამი	10,441	31,474	

სსიპ „შემოსავლების სამსახურმა“ 2011 წლის განმავლობაში შეიძინა 2,340 ათასი ლარის აქციზური მარკა, მეოთხე კვარტლის საკასო ხარჯმა შეადგინა 1,488 ათასი ლარი (წლიური ხარჯის 64%).

სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ საკუთარი შემოსავლებიდან გაწეულია 37,165 ათასი ლარის ხარჯი, აქედან 22,290 ათასი ლარი წარმოადგენს სალარო აპარატების შესაძენად შპს „დეიზი ტექნოლოჯისთვის“ გადარიცხულ თანხას.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ წლის განმავლობაში „რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების“ მუხლით გაიწია 275 ათასი ლარის ხარჯი, მეოთხე კვარტლის ხარჯმა შეადგინა 249 ათასი ლარი (წლიური ხარჯის 91%), რაც წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურისთვის შეძენილ და უსასყიდლოდ გადაცემულ მცირეფასიან აქტივებს (232 ათასი ლარის ღირებულების საქონლის გადაცემა მოხდა მეოთხე კვარტალში, ხოლო 17 ათასი ლარის ღირებულების აქტივი ცენტრალურმა აპარატმა მიიღო და საგამომიებო სამსახურს გადასცა 2012 წლის თებერვალში).

წლის განმავლობაში, სამინისტროს ცენტრალურმა აპარატმა შეიძინა 3,460 ათასი ლარის ღირებულების საწვავ-საპოხი მასალა, მეოთხე კვარტლის ხარჯმა შეადგინა 1,098 ათასი ლარი (წლიური ხარჯის 31%), საიდანაც 85 ათასი ლარის საწვავი წარმოადგენს ცენტრალური აპარატის მარაგს, 732 ათასი ლარის ღირებულების საწვავ-საპოხი მასალა გადაეცა საგამომიებო სამსახურს, 12 ათასი ლარის სახაზინო სამსახურს, ხოლო 269 ათასი ლარი წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეულ ხარჯს.

19. გრანტები

გრანტები:
(ათას ლარებში)

	წლიური ხარჯი
სამინისტროს ცენტრალური აპარატი	110
სსიპ „შემოსავლების სამსახური“	69
ჯამი	179

2011 წლის განმავლობაში, ცენტრალური აპარატის მიერ გრანტების სახით გადახდილია 110 ათასი ლარი: მოლდოვის რესპუბლიკაში წყალდიდობით დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების გაწევის მიზნით საქართველოს პრემიერ მინისტრის 2011 წლის 16 მარტის №75 ბრძანების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 38 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი (64 ათასი ლარი); 2011 წლის აპრილში საქართველო მიუერთდა გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალურ ფორუმს, რომლის საწევრო გადასახადი შეადგენს 15 ათას ევროს შეადგენს (33 ათასი ლარი); 2010 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა „OECD“-ისა და ევროპის საბჭოს 1988 წლის 25 იანვრის ერთობლივი კონვენცია და მისი შემსწორებელი ოქმი „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების“ შესახებ, რომლის საწევრო გადასახადი შეადგენს 5 ათას ევროს (13 ათასი ლარი).

2011 წლის განმავლობაში, სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ გრანტების სახით გადახდილია 69 ათასი ლარი: მსოფლიო საზაფხულო ორგანიზაციის საწევრო შენატანი 2011 წლის 1 ივლისიდან 2012 წლის 30 ივნისამდე შეადგენს 23 ათას ევროს (54 ათასი ლარი); საგადასახადო ადმინისტრირების შიდა-ევროპული ორგანიზაციის (IOTA) საწევრო შენატანი კი - 7 ათას ევროს (15 ათასი ლარი).

20. სოციალური უზრუნველყოფა

სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები:

(ათას ლარებში)

	ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
სამინისტროს ცენტრალური აპარატი	58	
სსიპ „შემოსავლების სამსახური“	551	
სსიპ „მომსახურების სააგენტო“		19
საგამომცემო სამსახური	71	
სახაზინო სამსახური	64	
ჯამი	744	19

21. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები:

(ათას ლარებში)

	ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
სამინისტროს ცენტრალური აპარატი	176	
სსიპ „შემოსავლების სამსახური“	99	8,807
სსიპ „მომსახურების სააგენტო“		541
საგამომცემო სამსახური	207	
სსიპ „საფინანსო აკადემია“		63
სსიპ „საფინანსო-ინალიტიკური სამსახური“	3	
საწარმოთა განვითარების პროექტი	374	
GTZ-ს ორმხრივი, რეგიონალური და რეგიონთაშორისი პროექტები	316	
ხაზინის კომპონენტი	218	
საოპერაციო ხარჯი	200	
საბიუჯეტო კომპონენტი	180	
KFW-ს ადგილობრივი ოფისის საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსება	14	
ჯამი	1,787	9,411

2011 წლის განმავლობაში, სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ ბიუჯეტში გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადი შეადგენს 8,608 ათას ლარს.

სსიპ „მომსახურების სააგენტოს“ მიერ წლის განმავლობაში დამატებული ღირებულების, მოგებისა და ქონების გადასახადის სახით გადახდილია 527 ათასი ლარი.

სსიპ „საფინანსო აკადემიის“ მიერ 2011 წელს ბიუჯეტში გადახდილია 63 ათასი ლარის დამატებული ღირებულების, მოგების, ქონებისა და მიწის გადასახადები.

36
67

ამერიკის შეერთებული შტატების „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასა“ და საქართველოს მთავრობას შორის 2005 წლის 12 სექტემბრის შეთანხმების თანახმად (იხ. შენიშვნა №7), ყველა პროგრამის აქტივი, კორპორაციის დაფინანსება და დარიცხული პროცენტი გათავისუფლდა გადასახადისაგან. პროექტის დამატებული ღირებულების გადასახადისაგან გათავისუფლების არაპრაქტიკულობისა და განხორციელების სირთულიდან გამომდინარე, 2006 წლის 24 მარტს გაფორმდა საგადასახადო შეთანხმება ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ „ფონდი ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ („ემ-სი-ჯი“) შორის, რომლის თანახმად დამატებული ღირებულების გადასახადის ანაზღაურება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული სახსრებით. შეთანხმებული მექანიზმის მიხედვით, „ემ-სი-ჯი“ ახორციელებდა სახელმწიფო ხაზინიდან დღგ-ს თანხების გადარიცხვას. ვინაიდან სსიპ „ფონდი ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ მიერ დაფუძნებული შპს „რეგიონალური განვითარების ფონდის“ 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს სსიპ „მომსახურების სააგენტო“, დღგ-ს ანაზღაურების მექანიზმის უზრუნველყოფა ხორციელდება სააგენტოს მეშვეობით.

GTZ-ს ორმხრივი, რეგიონალური და რეგიონთაშორისო პროექტები (კოდი 23 02 01): გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს იმ გადასახადების გადახდას, რომელიც ერიცხება გერმანიის მთავრობის დავალებით მოქმედი ორგანიზაციების მიერ საქართველოში შეძენილ საქონელს (სამუშაო, მომსახურება) და გათვალისწინებულია მის საბოლოო ფასში.

22. კურსთაშორისი სხვაობით მიღებული ზარალი

2011 წლის განმავლობაში, სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ კურსთაშორისი სხვაობით მიღებულმა ზარალმა შეადგინა 605 ათასი ლარი, რაც დაკავშირებულია ორგანიზაციის მიერ სესხის აღებასა და სალარო აპარატების შეძენასთან (იხ. შენიშვნა №6, №11, №18).

23. ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები

ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები მოიცავს სამივლინებო და ანგარიშვალდებული პირების, ასევე დაჯარიმებული ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტში დაბრუნებულ თანხებს.

24. ბიუჯეტში გადახდილი თანხები

სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ ბიუჯეტში გადახდილი თანხების ფაქტიური ხარჯი მოიცავს გადასახდელი მოგების, ქონებისა და მიწის გადასახადების დარიცხულ თანხებს 7,605 ათასი ლარის ოდენობით, წლის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 1,363 ათასი ლარი.

32
68

სსიპ „მომსახურების სააგენტოს“ მიერ ბიუჯეტში გადახდილი 3,253 ათასი ლარი წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებს.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.